სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

.თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შენიშვნა-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952767	0179,თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2292773		2223874	greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, ბაქრაძის 19
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

	ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2292773	599902520	2223874	ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შენიშვნა-5

საქართველოს მთავრობა		0134, თბილისი, ინგოროყვას ქ. 7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი ШЕНИШВНА-9

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

ШЕНИШВНА-10

დავის საგანი

ШЕНИШВНА-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

ШЕНИШВНА-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე 2012 წლის 6 დეკემბერს სპეციალისტის სახით დაკითხულმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა (სადავო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების დროისათვის) ნიკოლოზ ჭახნაკიამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება, რომლის თანახმადაც ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის შესახებ. ამავე სასამართლო სხდომაზე სს "დარიალი ენერჯი"-ს წარმომადგენელმა ირაკლი ჟორჟოლიანმა წარმოადგინა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სს "დარიალი ენერჯი"-ს შორის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულების საფუძველზე 2012 წლის 29 ნოემბერს დადებული სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ №6 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სს "დარიალი ენერჯი"-ს ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის 2013 წლის 01 იანვრამდე გამოეყო 87737კვ.მ მიწის ფართობი სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისათვის.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

ШЕНИШВНА-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე 2012 წლის 06 დეკემბერს სპეციალისტის სახით დაკითხულმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა (სადავო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების დროისათვის), ნიკოლოზ ჭახნაკიამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება "ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე". ამ განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27 სეკუნდა მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გამოეყო სს "დარიალი ენერჯი"-ს მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის აღებამდე.

მტკიცებულება:

დანართი №1. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება.

2. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27 5 მუხლის მე-3 პუქტის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაევალა ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის გაუფორმოს სს "დარიალი ენერჯი"-ს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ხელშეკრულება სს "დარიალი ენერჯი"-ს მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის აღებამდე. ამავე განკარგულების მე-4 პუქტით სს "დარიალი ენერჯი"-ს დაევალა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორიების გადაცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მტკიცებულება:

დანართი №1. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება.

3. ფაქტობრივი გარემოება

2011 წლის 29 ნოემბერს ერთი მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და მეორე მხრივ, სს "დარიალი ენერჯი"-ს შორის დაიდო სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის №6 ხელშეკრულება, რომლის საგანია ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო და "ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალი ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებით განსაზღვრული, 87737 კვმ მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის გამოყოფა. წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა ხელშეკრულების

პირობების დარღვევისას, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ინსპექტირების განმხორციელებელი სუბიექტი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხრიდან - ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, ხელშეკრულების ვადა - 2013 წლის 01 იანვრამდე.

მტკიცებულება:
დანართი №2. 2011 წლის 29 ნოემბრის №6 ხელშეკრულება.

4. ფაქტობრივი გარემოება
საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანებით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "მ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდა შპს "დარიალი ენერჯი"-ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №29 110 მვტ სიმძლავრის "დარიალი ჰესის" ჰიდროელექტროსადგურის განთავსებაზე. ამავე წლის 29 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის მიერ გაიცა "დარიალი ჰესზე" მშენებლობის ნებართვა.

მტკიცებულება:
დანართი №3-4. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანება, მშენებლობის ნებართვა.

5. ფაქტობრივი გარემოება
2012 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარდგენილ იქნა კანონპროექტი - „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს პარლამენტში რეგისტრაციის თარიღი - 2 თებერვალი, 2012 წ., რეგისტრაციის №07–2/404; “„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის პირველი მუხლით იცვლებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი - არსებული 8707 ჰა მცირდებოდა 8698.2263 ჰა-მდე. ამასთან, კანონპროექტის მე-2 მუხლი ადგენდა იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ კოორდინატებსა და ფართობს (8.7737 ჰა), რომელიც აღარ შევიდოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის შემდგენლობაში. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი განმარტავდა კანონპროექტის მიღების მიზეზს: - „ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობა“ და ასევე კანონპროექტის მიღების მიზანს: - „მშენებარე ჰიდროელექტროსადგურისთვის გამოყოფილი იმ ფართობებისათვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მოხსნა, რომლებიც ხვდებიან ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე“.

მტკიცებულება:
დანართი 5: საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული კანონპროექტი “„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" პუნქტისა და მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აწესებს კონკრეტული სუბიექტის შპს „დარიალი ენერჯი"–ს უფლებებსა და მოვალეობებს.

4. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია:

ა) „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი („ეროვნული პარკი"), რომლის თანახმად დაუშვებელია ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამავე კანონის 5.1 მუხლი, რომლის თანახმად „ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის" და 5.3 მუხლი, რომლის თანახმად იმპერატიულად არის განსაზღვრული თუ რა ზონები შეიძლება მოეწყოს ეროვნულ პარკში, რა მიზნით ეწყობა თითოეული მათგანი და რომ ეროვნულ პარკში მოსაწყობი არც ერთი ზონა არ ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და "დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში (მე-6 მუხლი) 2012 წლის 28 მარტს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულია ზემოაღნიშნული კანონის მითითებული ნორმები;

ბ) "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 20.4 მუხლი, რომლის თანახმად ნებისმიერი დაცული ტერიტორიის კატეგორიის (მათ შორის, ეროვნული პარკის) ფარგლებში იკრძალება „(ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; (ბ) ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება, ამოღება, რღვევა, დაზიანება.". უდავოა, რომ ჰიდროელექტროსადგურისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობისთვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება (მათ შორის, მდინარის წყლის მოქცევა ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ, გვირაბში) გამოიწვევს ეროვნული პარკის ტერიტორიის რეჟიმის დარღვევას და წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლი - დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა);

გ) "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან"; ამავე კანონის 46.2 მუხლს, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს"; ამავე კანონის 53.1 მუხლს, რომლის თანახმად, „საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას". დადგენილი და დადასტურებულია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა სრული უგულვებელყოფით მოხდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის "დარიალის ჰესის" მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფა;

დ) "საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონის 10.2 მუხლს, რომლის თანახმად: „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა."

ე) ამავე კანონის 11.1 მუხლი, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით". ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნათა დარღვევით გამოცემული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შედეგად გამოიწვევს ამ ტერიტორიაზე არსებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის არათუ შემცირებას, არამედ განადგურებას;

ტყის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდი, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შეიძლება გაიცეს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადასტურებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების უხეში დარღვევა, გარდა ამისა საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული აქტი არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი შემთხვევისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნის არსებობის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 32-ე მუხლები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი, 96-ე მუხლი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1. დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულყოფილად.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:
2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

სარჩელის ფასი	—	**არაქონებრივი ლარი**
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐	არა ☒
რომელი ნორმა?			
მტკიცებულება:			
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.			

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება:
არა	☒	რადგან გასაჩივრებული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანო არ არსებობს.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე მორიგება მხარეებს შორის შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის ახსნა-განმარტების წარმოდგენისათვის.
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთი სხდომა საკმარისი იქნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და დადგენისათვის.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

დანართი 1. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება - 2 ფურცელი;

დანართი 2. 2011 წლის 29 ნოემბრის №6 ხელშეკრულება - 3 ფურცელი;

დანართი 3. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანება -- 1 ფურცელი;

დანართი 4. მშენებლობის ნებართვა - 2 ფურცელი.

დანართი 5: საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული კანონპროექტი "„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" - 4 ფურცელი;

დანართი 6. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 2 ფურცელი;

დანართი 7. წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულება – 1 ფურცელი;

დანართი 8. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან – 2 ფურცელი;

ფურცლების საერთო რაოდენობა — 17

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☒
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

ატვირთვის ბმული: http://tbappeal.court.ge/sf | **http://tbappeal.court.ge/sf**

 შენიშვნა-35

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შენიშვნა-36

შენიშვნა-37 *ელ. ფოსტა:* *1st.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი	21/12/2012 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.